ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
№ 326

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – "ხელშეკრულება") – "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 გრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვისჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 „მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი სერგო სვანაძე ს/კ 212693049 ; "სახელმწიფო ხაზინა" კოდი TRESGE22; სახაზინო კოდი 32 04 05 06 02; ქ.ქუთაისი თამარ მეფის №59;ტ 0431 24 53 45;

და მეორეს მხრივ ი/მ "ლეილა სულაბერიძე" ქ.ქუთაისი ნიკეას ქ. №46ა/22; ს/კ 60001111542; საქართველოს ბანკი ანგ ნომ GE79 BG00 0000 0142 8315 00 . ბანკის კოდი BAGAGE22; ელ.ფოსტა lsulaberidze@yahoo.com; ტ 599733688; 0431 24 10 40;

(შემდგომში „მიმწოდებელი"შორის

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენ: წიგნების შეძენა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისათვის

CPV 22100000 ,

გამარტივებული შესყიდვა. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-10 პრიმა მუხლი, მე-3 პუნქტი, "ი" ქვეპუნქტი.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. მისაწოდებელი საქონლის საერთო სავარაუდო ღირებულება შეადგენ 12271.8 ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

4.2. შესასყიდი საქონლის ერთეულის ფასი შეადგენს:

№	სათაური/ავტორი	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ
1	ნინო ხარატიშვილი - მერვე სიცოცხლე (ბრილკას)	ცალი	3	49.95	149.85

2	კარლ გუსტავ იუნგი და ასტროლოგია - გიორგი ხუბულავა	ცალი	3	25.00	75
3	ბავშვთა ფსიქოანალიზი-ფრანგული სკოლა	ცალი	2	30.00	60
4	მე მოვდივარ თქვენთან ჩემი მარტოობიდან შეხვედრა მერაბ მამარდაშვილთან	ცალი	2	28.00	56
5	მარინა კაჭარავა ყოველდღიური ცხოვრების ფსიქოლოგია (აზრ აკადემია)	ცალი	3	28.00	84
6	რეზო კორინთელი დინამიკური ფსიქიატრია 2 ტომი	ცალი	2	35.00	70
7	დინამიკურუი ფსიქიატრია-რეზო კორინთელი	ცალი	2	35.00	70
8	ლევან გიგინეიშვილი " საუბრები ანტიკურ ფილოსოფიაზე"	ცალი	3	32.00	96
9	სიტყვები ცაზე გია მურღულია (მაცნე)	ცალი	3	26.00	78
10	საუბრები ძველ ქართულ ლიტერატურაზე - დამხმარე სახელმძღვანელო (მურღულია გ. ალიბეგაშვილი გ. მაღლაფერიძე	ცალი	3	16.90	50.7
11	საზრისები გია მურღულია (მაცნე)	ცალი	3	20.00	60
12	ზურა მხეიძე - სიყვარული, ტყუილი, ემოციები და თვითშეფასება ურთიერთობაში	ცალი	3	28.00	84
13	გელა ჩარკვიანი ეპოქა და ადამიანები	ცალი	3	30.00	90
14	ტყუილის ანატომია ივა მინდაძე (არეტე)	ცალი	3	18.00	54
15	ჯანმრთელობის ენციკლოპედია ყველა თაობისთვის	ცალი	3	130.00	390
16	წ.ბ - ბაზრის სტრატეგიული მართვა	ცალი	5	24.95	124.75
17	იკითხე ქართული XXI - მეხსიერების სავარჯიშო	ცალი	3	12.95	38.85
18	წლის ბესტსელერი - ყველაფერი მთავრდება ჩვენით (პალიტრა)	ცალი	3	16.95	50.85
19	საქართველოს ისტორიის პალიტრა 7ტ	ცალი	5	20.00	100

20	ვარდის სურნელი	ცალი	5	22.90	114.5
21	მსხლების მინდორი (სულ)	ცალი	5	13.00	65
22	მარი მალაზონია - კვებითი შუქნიშანი (ინტ)	ცალი	2	50.00	100
23	სუმო 90 ამბავი	ცალი	3	13.95	41.85
24	მსოფლიო ისტორია - ბოლოთაშვილი კაციტაძე	ცალი	5	40.00	200
25	ქართული ენის ისტორია (История грузинского языка) - ფუტკარაძე ტ.	ცალი	15	17.50	262.5
26	ისტორია და პოლიტიკა კავკასიაში-მ. მაცაბერიძე	ცალი	5	6.25	31.25
27	ძველი მსოფლიოს ისტორია (ანტიკური სამყარო)	ცალი	5	73.50	367.5
28	ევროპის და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია 1914-1945.	ცალი	8	20.00	160
29	ფსიქოლოგიის საფუძვლები - ი. იმედაძე	ცალი	28	23.75	665
30	ფსიქოლოგიის ისტორია - ი. იმედაძე	ცალი	25	37.50	937.5
31	ქართული ხალხური ეპოსი - ზ. კიკნაძე	ცალი	14	11.00	154
32	კავკასიელთა თანამედროვე ეთნოცენტრისტული ისტორიოგრაფია და საქართველოს სახელმწიფოს უსაფრთხოების პრობლემები	ცალი	15	11.25	168.75
33	რელაციული მონაცემთა ბაზის შექმნა MySQL Workbench გარემოში	ცალი	20	25.00	500
34	ბუნებრივ ნაერთთა ქიმია (სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის)	ცალი	20	25.00	500
35	Understanding Research for Nursing Students	ცალი	1	31.25	31.25

36	კომპლექსური ანალიზის საფუძვლები მაგალითებსა და სავარჯიშოებში	ცალი	15	12.50	187.5
37	English For Tourism And Hotel Management Students	ცალი	15	17.50	262.5
38	Reader English for Professional Purposes (Education)	ცალი	15	18.75	281.25
39	ქართველთა სავანეები და სამონასტრო თემი წმინდა მიწაზე XI-XVIII საუკუნეებში	ცალი	18	22.50	405
40	იოანე პეტრიწის ენა და სტილი - დამანა მელიქიშვილი	ცალი	20	22.50	450
41	უარყოფის კატეგორია ქართველურ ენებში (The Category of Negation in the Kartvelian Languages)	ცალი	10	31.25	312.5
42	ქართველურ ენათა სემანტიკა-სემასიოლოგიის საკითხები	ცალი	10	16.50	165
43	საქართველოს ენობრივი სიტუაცია XX საუკუნის 20-იან წლებში	ცალი	15	18.75	281.25
44	საქართველოს უძველესი და ძველი ისტორიის ნარკვევები - დუნდუა თ.	ცალი	18	19.50	351
45	გეომეტრია და სივრცის აღქმა, ალბათობა, მონაცემთა ანალიზი - გიორგაძე თ.	ცალი	20	23.40	468
46	ეთნომენეჯმენტი- ავტ.ჯგუფი	ცალი	19	27.30	518.7
47	მსოფლიოს რეგიონებისა და ქვეყნების საზოგადოებრივი გეოგრაფია - მ. ფუტკარაძე	ცალი	20	36.40	728
48	არქიტექტურის რესტავრაცი საქართველოში: ისტორიოგრაფია, ტრადიცია, გამოცდილების ანალიზი	ცალი	15	32.50	487.5
49	ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების თემატიკის გაშუქება მედიაში	ცალი	10	8.75	87.5

50	ახალი მედია ჟურნალისტებისათვის	ცალი	10	8.75	87.5
51	მედია ეთიკა და ანგარიშვალდებულების სისტემა	ცალი	15	11.25	168.75
52	მედიის თვითრეგულირების ქრესტომათია	ცალი	15	11.25	168.75
53	ქართული ემიგრაცია და ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში	ცალი	15	26.00	390
54	ლოჯისტიკის მენეჯმენტის მხარდამჭერი საინფორმაციო სისტემების აგება - ავტ.ჯგუფი	ცალი	15	26.00	390

12271.80

4.3. საქონელი მიწოდებული იქნება შემდეგ მისამართზე: ქ.ქუთაისი თამარ მეფის №59.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია 2023 წლის 22 დეკემბრამდე განახორციელოს მე-3 მუხლით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება მოთხოვნის შესაბამისად. იგი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის ხარისხსა და ვარგისიანობაზე.

5.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას შესყიდული საქონლის ღირებულება.

5.3. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

5.4..შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

5.5. მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

5.6. მე-3 მუხლით გათვალისწინებული საქონელი შესაძლოა სრულად არ იქნას ათვისებული შემსყიდველის ინტერესებიდან გამომდინარე.

6.საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმების შემდეგ.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შესყიდვების სამსახური.

8. მიწოდებული საქონლის ხარისხი და გარანტია

8.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი არ იქნება დაზიანებული და იქნება მოხმარებისთვის ვარგისი წინაადმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს დაზიანებული და უვარგისი საქონლის შეცვლა

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

9.2 ანარიშსწორება მოხდება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმებიდან 10 საბანკო დღის განმავლობაში:

9.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

9.4. ანგარიშსწორებაზე და მასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციაზე პასუხისმგებელია აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილება.

10. ფასები

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტში დაფიქსირებული შესასყიდი საქონლის ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.

10.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია საცალო ფასის გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

10.3 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

დაუშვებელია ხელშეკრულებაში მიმწოდებლის ჩანაცვლება , გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა (ორგანიზაციის შერწყმა, გაყოფა და სხვა) .

13. სუბ-კონტრაქტორები

13.1 იმ შემთხვევაში, თუ სუბ-კონტრაქტის დადების ან სუბ-კონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოადნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

13.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.

13.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

14.2.ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ,მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობსგამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15.მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

15.1.სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 5.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,5% ოდენობით. და შემსყიდველის მხრიდან 9.2. პუნქტით მას გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასარიცხი თანხის 0,5% ოდენობით.

15.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

15.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირსაგამტეხლოს ჯამური თანხა გაადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 %-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირსაგამტეხლოს ანაზღაურება.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

16.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

16,3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16,4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან

16,5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16,6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

17. დავების გადაწყვეტის წესი

17.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

17.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

18. ინტერესთაკონფლიქტის არ არსებობა

"საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-8 მუხლის შესაბამისად შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის არ წარმოიშვება ინტერესთა კონფლიქტი.

19. სხვა პირობები

19.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 31.12.2023.. წელი

19.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსყიდველი ორგანიზაცია:
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

სერგო სვანაძე

მიმწოდებელი:

ი/მ

ლეილა სულაბერიძე

Leila Sulaberidze

Подписано цифровой подписью: Leila Sulaberidze
DN: cn=Leila Sulaberidze, serialNumber=PNOGE-60001111542, givenName=Leila, sn=Sulaberidze, o=Citizen, c=GE
Дата: 2023.12.18 16:06:27 +04'00'